

# სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე ჯარიმების ოდენობა განისაზღვრა



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა მოამზადა კანონპროექტი, რომლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ცვლილებები შედის და ჯარიმები იზრდება.

ასე, სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისას ან შეუსრულებლობისას პირი 500 ლარით დაჯარიმდება. თუ ეს ნორმები ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოქმედების პირობებში დაირღვა, მაშინ ჯარიმა 1000 ლარია. დღევანდელი კანონით ჯარიმა 50 ლარიდან 200 ლარამდეა.

შიდახანძარსაწინააღმდეგო წყარომარაგებისთვის, ედექტროდანადგარებისათვის, ედექტროტექნიკური პროდუქტებისა და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებისათვის დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისას ჯარიმა 100 ლარის ნაცვლად 1000 ლარი იქნება.

შენობაში საევაკუაციო გზებისათვის, საევაკუაციო და ავარიური გასასვლედებისათვის, ხანძრის ავტომატური ჩაქრობის, სახანძრო სიგნალიზაციის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის, ევაკუაციის მართვისა და კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისათვის დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაუცველობა დაჯარიმდება 1000-დან 5000 ლარამდე. დღეს ამისთვის ჯარიმა 200 ლარია.

300 დარით დაჯარიმებას გამოიწვევს ის ფაქტიც, თუ დამამზადებლის (მომწოდებლის) მიერ ნივთიერების, მასაღის, ნაკეთობისა და დანადგარის შესაბამის ტექნიკურ დოკუმენტაციაში ამ ნივთიერების, მასაღის, ნაკეთობისა და დანადგარის ხანძარსაშიშროების მაჩვენებლების შესახებ ან მათი გამოყენებისას მისაღები სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაცია არ იქნება შეტანილი (თუ სავადღებულოა ასეთი ინფორმაციის შეტანა).

პროექტის მიხედვით, კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მიერ ხანძრის ჩაქრობის საქმიანობის წესისა და მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის ან შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდება კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მესაკუთრე 5000 დარიდან 10000 დარამდე.

სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტზე საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 დარის ოდენობით. 1000-დარიანი ჯარიმაა გათვარისწინებული ხანძრის ჩასაქრობად, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძაღებისა და საშუაღებების საგანგებო სიტუაციის ზონაში დაგვიანებით გაგზავნაზე.

საგანგებო სიტუაციის დროს მოსახღეობის, მატერიაღური და კურღურღი ფასეუღეობების დაცვის უზრუნვეღრსაყოფად საჭირო მოთხოვნების შეუსრუღებღობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 დარის ოდენობით.რამდენიმე დღის წინ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხეღმძღვანეღმა გიორგი მღებრიშვიღმა განაცხადა, რომ სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაუცვეღობისა და დარღვევის გამო ჯარიმები, ზოგ შემთხვევაში, 1000%-ით გაიზრღებღდა.

“ინტერპრესნიუსი”